

იზვიათი ეკზეგვლიარი



გაულაკებულნი „კომუნისტი“: — აწ აღარ მეშინია პარტიიდან გამორიცხვის!

ანკეისა

მართალია: არავის არა აქვს უფლება ჩერიის სხვის თვალსაზრის ანუ ინტიმურ ცხოვრებაში, მაგრამ ფიქრთა გამოამჟღავნება თამამად შეიძლება.

ტარტაროზის კადონსურმა პალომ ჩვენ უხილავად დაადგვაქცია. შემოვიარეთ ბევრი ბინები და მოვკრიფეთ „ფიქრთა ანკეისა“ ანუ „ინტიმური თავისთავიანი“, რასაც აქვე ვათავებთ.

წმინდა კარგია. ამისი საწინაღმდეგო კაცს რა უნდა ჰქონდეს? არც მე ვარ წინააღმდეგი, თუ მე არ შემეხებება... რისი უნდა მეშინოდეს? არაფრის! ჩემისანა პატიოსანი სხეულებიც არ არიან. თითქმის წელიწადი სრულდება რაც ცოლი შევიერთე და ჯერ არ გამიშვია. არც ვაპირებ გაყრას. არც ერთი საყვარელი არა მყავს. საყვარელი კი არა, არშიყოფაც არ შეხერხება. წარმოიდგინეთ, ქალი, ჩემი ცოლის ვარდა ჭირივით მეჯავრება. ისე მეჯავრება, რომ მზად ვარ ჩემს დაწესებულებაში რაც ქალბატონი ყველა დავითხოვო და მათ ადგილზე მამაკაცები მივიღო. ვის გაუგონია ქალი და სამსახური? დედაკაცი სახლში უნდა ეგდოს და ქმარს უფლიდეს...

ჰო-და, ასეთი პატიოსანი კაცი ვარ... არა, მე რისი უნდა მეშინოდეს!?

სოლომონ ირიბაძე.

პარტყმინდა მე არ მაშინებს, რადგან უკვე შარშან გამომაგდეს პარტიიდან. მე მაშინებს მხოლოდ აპარატის წმინდა. წმინდა კარგია. ეს კარგად ვიცი. მაგალითად: შარშან რომ სალარო გავსწმინდე, ისეთი დროება გავატარე, რომ ექვსი თვით გამსახლში ჯდომა არაფრად ჩამიგდია.

ბიუროკრატია, თანამშრომლებსა და მოქალაქეებს (კუდად ეპყრობაო, —ამას ჩემზე ვერ იტყვიან, რადგან დაწესებულებაში ერთი საათითაც ვერაფერს მნახავს, სულ ავტოში ვარ. მართალია: შოფერი არ მემადლიერება, რადგან წარა-მარა ვარბენინებ იქით-აქით, მარა მარტო მას ვინ დაუჯერებს?

ერთი სიტყვით, თუ არ გამოაშკარავდა გუშინდელი კომბინაცია, მე რა გამწმინდენ.

სამუელ ყალთაბანდაშვილი.

რა ბრალდება უნდა წამომიყენონ პარტყმინდაზე? ვერაფერი!

თუ ივანე იტყვის, რომ ცოლს უდერად ეპყრობა მე დავინახეო, ეს არ არის მისი საქმე, რადგან სხვის თვალსაზრის, ინტიმურ ცხოვრებაში ვერაფერს ვააფათურებს ხელედა. მე მარტო ხელი შემოვკარი ცოლს, როცა მთვრალი მოვედი და ექვის სკენები გამიმართა. ზოგი კა—ცლს

შარშანწმინდითი უბნუგუნებს და სცემს, არა თუ მესამე ცოლს, თვით საყვარელსაც კი.

ანტიფემინისტიაო, ვერ იტყვიან ჩემზე. ჩემს დაწესებულებაში რომ ლამაზი ქალებია, იმდენი მგონი სულთანის არამხანაშიც არ იქნებოდა.

ქალებს არ აწინაურებსო, ვერც ამას დამწამებენ. ვაწინაურებ კი არა, რეგისტრატორი ქალი ისე მომეწონა, რომ საქმმართველი დავითხოვე და მისი ადგილზე დავინიშნე. ჩემს მოსვლამდე მისთვის არავის მიუქცევია ყურადღება. მშვენიერი ქალი რეგისტრატორად იყო.

თავი ქულში მაქვს. რისი მეშინია? **პავლეშა მუსხუხიძე.**

მართალია მეფის ერთგული ჩინოვნიკი ვიყავ, მარა კონტრ-რევოლუციონერობას ვერაფერს დამწამებს, რადგან შარშანწმინდის განცხადება შევიტანე უჯრედში პარტიაში მიღების შესახებ. მაშასადამე, მე არა ვარ კონტრ-რევოლუციონერი. მერე რაა, რომ არ მიმიღეს?! ეს რა ჩემი ბრალია!

ყველა კრებებს ვესწრები. ყოველგვარ საზოგადოების წევრი ვარ: რემედსი— ვენმარები რევოლუციონერობის მებრძოლ ხალხს; წერ-კუმსა— ვასწავლი უფიცებს. ავიო-ქიმი— ვაძლიერებ წითელ- არმიას, ვარ კავშირის წევრი; (მადლობა ღმერთს, ძლიერ მიმიღეს; არ მღებულობდენ). ენას არავის არ შეუბრუნებ. გამგის წინაშე წელმოხბრილი, აკანკალებული და მომლიმარე ვდგავარ. მართალია: საქმეს ვანგებ ვაჭიანურებ და ვართულებ, რომ ხალხში სახელი გავუტეხო გლეჯანდელ მუშაობის სისტემას, მაგრამ ამას ისე მოხერხებულად ვმოხიბი, რომ ვერაფერს მიგებს. (აბა, ამათი ერთგული ვიქნები! დამლუპეს კაცი, მომრიგებელი მოსამართლე ვიყავ საწყალი ნიკოლოზის დროს).

ჰო, მართლა ყოველ დემონსტრაციაზე დავდივარ, დროის ახლოს ვდგავარ, რომ ადგილკომმა და უჯრედმა დამინახოს. პილსუდსკისა და ჩინეთის იმპერიალისტებს რომ პროტესტი შეგუთვალეთ, მეც ხომ ვიყავ დემონსტრაციაზე?!

არა, მე არ მოვხდები აპარატის წმინდაში. **დათა გემოროიშვილი.**

საქმე მაგრად მაქვს. თუ გინდ ვინმე გაილაშქროს ჩემს წინააღმდეგ, ყველსა მოუჭრი სიტყვას. მე რომ ცუდი კაცი ვყოფილიყავ, არც დამაწინაურებდნ. ადგილკომის შიფონობის დროს ადმინისტრაციას ისე დავუშვებოდი, რომ დაწინაურების კამპანიის დროს ვამგემ მე დამაწინაურა. ეხლა ვანყოფილების გამგე ვარ.

მართალია, მუშები ჩემზე ამბობენ — გაბიუტროკრატადო, მარა მე

მათი დავუშვებოცემ, რომ საქმის ინტერესები მოითხოვენ ხანდახან უხეშად მოპყრობას. **გიორგი თქვა**

სხვა ბრალდება არ შეიძლება წამომიყენონ? ჰო, წერილი ცოლ-შვილი მიატოვია. ეს უსაფუძვლო ბრალდებაა. ჩვენ, კომუნისტები თავისუფალი ქორწინების მომხრე ვართ. ეხლა ვამგე ვარ და უწინდელი ცოლი როგორ გამომადგებოდა? „ფერი ფერსა, აძლი ღმერთსა“—თ რომ იტყვიან, სწორედ ისეა. შეერთოს ჩემი ყოფილი ცოლი ჩვენმა შვირქმა ან ღარაჯმა, გამზადებული ცოლშვილი იყოლება; (ორი შვილი ჰყავს ჩემგან ჩემს ცოლს) მე საწინააღმდეგო არაფერი მექნება. ალი-მენტს არ აძლიერსო თუ იტყვიან, — რა ვქნა, ეს რაღაც 210 მანეთი მარა მყოფის. მივლინებები რომ არ მშველოდეს, ჩემს საყვარელ თინიკოს პიანინოს კი არა, კონტრაბან კოვერკოტის პალტოს ვერ ვუყიდდი.

რა კარგი ყოფილა კეთილი ცხოვრება! ღმერთმა დაიფაროს, რომ პარტიიდან გამაგდონ, თორემ ხომ დამეკარვა ეს თანამდებობა! პარტიიდან თუ გინდ გამრიცხოვ, ხოლო ამ სამსახურს ნუ წამართმევენ. (უპარტია ვიქნები და მაშინ ჯამაგირი იქნები მექნება).

სევასტი ცხვირგოდელიძე.

გამოცდილი პოლიტიკოსი ვარ: ყველა პარტიაში ვყოფილვარ. ოთხი თვეა რაც ძლივს-ლა მიმიღეს პარტიაში. ეხლა ხომ არ გამომაგდებენ? მართალია, ინდუსტრიალიზაციის სესხის ობლიგაციები გავყიდე, მაგრამ მესამე სესხი თუ გამოვა, კიდევ მოვაწერ ხელს.

რა კარგი იქნებოდა, რომ პარტიული გადასახადი არ იყოს და შეიძლებოდეს არ იარო უჯრედის სხდომაზე.


ეხლა თუ ცოლი არ გამოვიცვალე; ვინ იცის, რა მართლა გამწმინდონ; მომხსნან აქედან და მერე სონა არც კი გამომყვება.

გიორგი ნილაბაძე.

რა ჩემი საქმეა პარტია? რად მესაჭიროება? მარა თვითონ მე ჩემით არ გავალ პარტიიდან. ივანე გამომრიცხოვ. მადლობა ღმერთსა და მის წყალობას: აღმასკომის თავმჯდომარეობის დროს ისე მოვიტეხე ხელი, რომ ეხლა ჩემისანა მოსახლე მეორე არ არის ჩვენს სოფელში.

სოფლის მეურნეობა წინ უნდა წავსწიოთ... მეც ასე ვქენი. ამისათვის ხომ საყვედურს ვერ მეტყვიან?! თუ მეტყვიან და, სთქვან; რა მადარდებს. პარტიიდან გამომრიცხავენ? ეს არაფერია.

გერასიმე წუმბელიძე.



კოხორიდან მოდის
„მერსედესი“ ავტო.
შიგ არავინ არ ზის,
შოფერიც მარტო.

აგერ დაწოა—
მოდის ფეხით გოგა,
და შოფერიც იგი
ჩაიჯინა შიგა.

მიხვდა გოგა—მათ შეფს
ავტო უყვარს თუ რად!
და შიგ გაიჭიმა
გოგა მიდიდურად.

ივანე როყვა

თქვენ ჯერ არ იცნობთ ივანე როყვას,
იმის ტანში ცქმუტს, ფეხებში—როკავს?
ძველ აწნაურთა გვარი კაცია:
ტანზე ჩერკესა ახლაც აცვია,
წულა-მესტები, უძირობით...
ზამთარში ჩქეშაც ეცვა დროებით
და კალაშნიკით ტოპავდა ტალახს...
ივანე როყვა ამ ტფილის - ქალაქს,
როგორც ხელის გულს, იცნობს, საკუთარს!
ძველ კნენინათა ნელ-ტკბილ საბუღარს,
ძველ ჩინოვნიკთა ქვრივებს, მადამებს...
კვირა - უქმეებს მათთან აღამებს
და ლამეებსაც ზოგჯერ ათენებს
ივანე კიოხვას ასე აუწერებს:
„თუ კაცი ვარგა გვირგვინით
ან ჩინოვნიკურ აღმზრდილობით,
მათთანსაუბარს რაღა ხელობა?
მალე გაიცილობ თუ უცნობია!
ხოლო ნაცნობ შენი თუ კია,
სოლოლაკია ეს, თუ კუკია,
გერა, დიდუბე, თუ ნადიროვკა,
ნაძალადევიც დრო უნდა მოჰქალა,
სუ იქ კი არის კაცი-კაცადი,
გვარიც, ზრდილობით გამოწვადი.
ობაა ეს თუ სხვა რამ დღეობა,
ღვინოს და არაყს რომ სდევს ღრეობა,
აბა, გიტარა! აბა, ჩანგური!
შვა დარს ვაგართოსკაცი, ჩაგრული,
და დაგვიამოს გული თვის ბოყვში...
რაღა ვსთქვა? დარდის მოდიხარ ოხტში!
და შემდეგ დილით თვალ - დაბრუტული,
მასპინძლის ხახლით გამოჭუტული,
საკუთარ ბინას მივდივით...
ტურში ჯერ ისევ სჭექენ ლხინები!
თავში ჯერ ისევ ფრულოავს კახური,
სუქშიგან ზრუნვით შემონახული“

დასხმული: ზოგი — კნენინა ხელით,
ზოგიც - რამ „ფრონცკის“ ჩამოსახმელით...
აბა, სასმელით, აბა, საჭმელით,
ნაირ - ნაირად გამოხსატქმელით,
ავებუღია ნაჭები ფაშვი!
ივანე როყვა, როგორც რომ ზავში
აცრებულნი არის ფეხებში.
ხომ არ გვლებულა სადმე გლეხებში
ანდა წვირიან პრელეტარებში?
თვითონ კნენინა შეძგრა კარებში.
თვით მადამ — „ხლუსტი“ ხელს ეამბორა!
მამა ევთიმეს მან ანა ფორა
ნაკურთხ ბეჭებზე წამოახურა:
შენდობისათვის ეს ამსახურა!
და სამსახურიც, წყარო პურიცა,
ანუ ალაგი სამსახურისა
ივანე როყვას აქვს ნარკომ... (ზემში?)
ეს რომ ვსთქვა ასე, ეტეს იწვევს ჩემში,
რადგან ზოგადთ მსურსლაპარაკი
და სულ არ მინდა ვინმე ზვარაკი
განდეს ამჩემი ზოგადი სიტყვის!
რადგან ურთიერთ მიბაძულებით
ნარკომფინიდან მოძღვნილ ფულებით,
გაღმავაგვნილთ ნარკომპორტელით,
ან მოტანილით მოლარის ხელით,
თვეში ხან ერთ, ხან ორ გზობითა,
გამოწერილი ასიგნობითა,
ამ ხელფასს, როგორც სხვები — არიგებს...
ხელს ვინ არ აწერს ან ვინ არ იღებს?
ან ვინ რას დასდებს, ივანე როყვა
ამ ხელწერაში თუ სადმე მოყვა?
კაცია, ორის ფეხით მოარე,
ფეხს არც კი ატანს თვალეზს მოლარე:
თუ ხელის წერა მისი დიდია,
მოლარეს ფეხი ფენწეპილია:
სათ დადის ის ან რა ცეკვით ცეკვავს?..
მხოლოდ გამწკობი აქ ყველგან შქეპავს:

ხალ მიღის როყვა, ხალ მოდის როყვა?
თუ ამ მიმოსვლას შედეგათ მოყვა
სანუშაო დღის კიდევ გაცდენა,
განმწმენდკომს უყვარს ხელის გაწვედენა
და საყელაში მისი ჩაგლებია...
ჯერ მხამდა სხვა რიგ კეუს სწავლება,
სხვა დარიგება, სხვა ტკბილი რჩევა
და არა უცბათ კაცის წაქცევა...
უცბად აღვიღად გამოვიძანა.
კაცი ხარ როყვა და არა გლახა,
რომ დაჯდე სადმე ხიდის ყურეში,
და სთხოვო გაძლელოთ თითო ყურეში...
მაშ, ეს გაწმენდა რის მაქნისია?
ან კაცისთვის რა საკადრისია
ვარედ გაგდება ვითარცა ნებსება?
შენ ვინდა ფახი ყველის თუ ძებვის,
ჩაის თუ შაქრის, პურის კარაქის
აქ კი საჯიჯგნად მთელი ქალაქის
გახდა კაცმა შენი სახელი...
კაციც რა კაცი? დასაძრახველი
აქ როყვასათვის სწორედ ისაა,
თუ განმწმენდკომი რა გვარისაა!
ჩანათქმ ვიღაც, ვიღაც კინწაქმ...
აი, ვინ დასცეს როყვა მწაწე!
ჩანათქმ სჩანთა იმას პანდურის
და კინწაბგანაც კინწებ-ჩაკურული
იგი მოადენს შეფლებას კარებში...
როგორ გამოჩნდეს კაცი ქალბში?
ან თუ ჩერკესას შეაწყდეს ღილი,
რა მიაკეროს? ვით გაჰკრას კბილი
კნენინის ობას თუ სხვა რამ ტახლას?
ან მადამ „ხლუსტი“ საბალო ვახს
ვით-ლა შევადლოს მუშტრული თვლი?
ეს წახდა, რაღა, კაცი, კაცალი,
კაც — აწნაური ივანე როყვა,
რომელიც რომ... წმენდაში მოყვა!..

პაპჭირა



— საღამო მშვიდობის, ჩემო ჭიჭი-
ნო. ჯვარი გიწერია, დია, ჩემი თვა-
ლისაგან, ჩემი ათივე თითებისაგან.
ორი ჩემი წონა გიკეთა ღმერთმა.

— უი, შენს ძვალ და რბილს აფე-
რი ეტყინა მეტი, დია, აგი აფერი
ჯვარდასაწერი იყოს ახლა. ღმერთს
თუ ჩვენდა პარკის კეთება კი ზღო-
მებოდა, მეორეთ მოსვლას არ მეიყვა-
ნდა და ამ აბრეშუმსავით დაბრიალე-
ბულ ბულოს ასე არ გააპარტახებთი-
ბდა ქარს, მარა საღადაა, დია, ღმერ-
თი ან ანგელოზი, თვარა ასთე მოგვი-
ძლებდა და არ ჩაგვიყრიდა წყალში
ჩვენ ამდენი ხნის ნაშრომს. ისთე, მაი-
კო, ამ ხნის ქალი ვარ და—ქარმა ხეები
მთლათ მოთხარა კი მინახავს, —მარა
ბულოს თუ ასთე გაჩხოტავდა, აგი
არ მეგონა სწორეთ. რაცხა გადუშ-
რჩა ამ გრივალს, ნამეტარმა გვალგე-
ბმა ისთე შეახრუკა ფურცელი, რომ
ყაქს არა, თხასაც აღარ ეჭმევა.

— შენ რაფერ გავს, ცავ, ყაჭი?
— უი, ცავ გადორიე, ჯვარაი იქა-
ნაი და ოქროს საყვირი, მიმავალი კი
არა, საღა მყავს სულ.
— დიდუ, დიდუ, რას ყურობს ჩე-
მი: ყურები ამ საშინელს.

— იმიზა ვაკვებოდი ამ ბობოლს,
რომე ეგებას, რაცხა ორი პარკი მი-
კეთდეს და ამაში აღებული ფულით
ამ შიშველ ბაღებს დავმოსამ და
კომპერატივის წევრიც გავხდები-
ყავ, მარა ისთე გუთუარა ჩემს მტერს
დასი ყორიფელი ნაფიქრები და ნა-
შრომი, რავარც მე ჩამიარა, მერე კი-
დო მთავრობიდან, რაფერი ხელწყო-
ბა გვქონდა წროულს, რაფელ ყორი-
ფელზე წინ წინ გვაძლევდა დახმარე-
ბა, თქვენ ოღონთ მიინდომეთ ყაქის
კეთება და ჩვენ ყორიფელზე ხელს
მი. გიწყობთ და დაგეხმარებითო. მე
სასიკვტილემ წინდაწინ გამოვართვი
პარკის ფული და რაღაით გადავიხთი
აღარ ვიცი.

შენგან გამუღვენებას არ მოველი
და ერთში კი მაკლია გულს ამ ჩვენს
გლენკომის თავმჯდომარესთან. წრო-
ულს მთელი თვეობით რომ იარა
თილისში აბტომობილის საყილათ
და ახლა ჩმრუყვანია რავარცხა,
იგიც აფერათ არ ვარგებულა თურმე.
ანდენ ფულს თუ კი ხარჯვიდა, ყა-
ნების სარწყავი შლანგი რომ მიეტა-
ნა, უფრო კი დაუმადლებდით, ყა-
ნებს დროზე დავთესავდით და ეგებას
გასათ არ მომკვტარიყავით შიმში-
ლით. აბტომობილი, კაი დაგემართოს,
კაია, მარა მშიერი კუჭის უარესი
აღარაფერი აღარაა.

— მშვიდობით, დია, მშვიდობით.
ღმერთმა თუ ამ გაისამდი მშვიდობი-
ანათ მიგვაწვეია, ვეკადოთ რამენაი-
რათ წაჭები ყიილამ კოლექტიურათ
ღვეისვათ, დავაზღვიინოთ და ხომ
ბცი, მთავრობაც მაღლიერი გვეყო-
ლება და ჩვენდაც ხერი იქნება.

მარტინა.



— (მღერიან): „ორი ქოთანი ვიყიდე
ყურიანი და უყურო“
მეფეზანილი: ვაჰ, მამაცხონებულო, რა გაღრიალდებთ? შაჰები ხომ
არ შეგიშენიათ? ორი ქოთანი გიყიდიათ ისიც ერთი ყურმოტხილი...
სულ რაღაც ხუთი-ექვსი შაურის საქმეა!

მიშა კოვერკოტით

ბ შ ი ლ ი ს ი

რა კარგი არის ზაფხული, მინდვრად ჯეჯილი ღელავსო,
ჩვენი მიშიკო ამ ზაფხულს კოვერკოტს შეიკერავსო...
— უნდა იმოვოს შარვალი ფერადი კოვერკოტისო, —
ამბობენ მასწავლებლები რკ-გზის შრომის სკოლისო;
ასედაც მოხდა კიდევაც, მიშამ ბათომში წაიდა,
შვიდი თუმანი დათვალა, ნაკვერჩხლებს ყრიდა თვალიდან
და ჩამოვიდა ტფილისში გაშტერებული კაციო!!
მას ულოცავდა ყველანი. „მიშა, კაცი ხარ აწიო“.
გულმხიარულმა შესძახა აპერში „დელი-დელია“,
თქვენ რა გონივართ ბიჭებო, მიშა კომკავშირელია.
მიშა მსუბუქეი სიციხისგან დადის პენსნების სწორებით.
ვინ იცის თავში რა უღევს, გული სავსე აქვს ჭორებიდ,
საველ გოგია.

„ღორი მუხის ქაეშ“

კრილოვის მიზაჰვა

„ლატყვევერული“

„პასუხისმგებელ ამბანაგებსა და მუშაკებს ნაცნობ-ნათესავები სახლ-შიაც არ ასვენებენ — სთხოვენ პროტექციას“.

„არიან ისეთი სპეცებიც, რომლებიც ბოროტად იყენებენ მათდამი საბჭოთა ხელისუფლების ნდობასა და კარგად მოპყრობას“.

ს.მ.შ.ს.-ის ტრესტის დირექტორად დიდლუკმაძე ბიქტორია.

უყვარს: ტანზე კოვერკოტი, ფეხზე — ნასკი „ვიკტორია“

ხან ცხვარია უწყინარი, ხან კი ღრინავს, როგორც მხეცი. მას ამდენხანს გააგდებდენ, რომ არ იყოს „კარგი სპეცი“.

ამიტომაც გადიდგულდა, (იცის კაცმა თვისი ფასი). მის ჯიბეში მიჩხრიალებს ჩერვონეცი ბარე ასი:

„პროექტების შედგენა... შედმეტილი... პრემია... მივლენების... გზის ხარჯი... მთელი ტრესტი ჩემია“.

თუმც აკეთებს ბიქტორ ამდენს, მაგრამ მაინც სულ წუწუნებს, — და მთავრობას პოლიტიკას უკრიტიკებს და უწუნებს:

„ვერ აფასებს ეს მთავრობა ჩემისთანა სპეცებსაო. უცხოეთის ტრესტებიც კი ჩემისანებს ეძებსაო“.

ავტოთ დაჰქრის სადაც უნდა, ქეიფობს და ხარჯავს ფულებს. მუშა პურზე თუ გადადის, ის მიირთმევს მოხრაკულებს.

მას არ უყვარს ეს მთავრობა, მხოლოდ უყვარს მისი ფული. ამიტომაც არ შესტკივა საქმეებზე ბიქტორს გული.

ქარხანაში როს ფუჭდება მანქანები თუ სხვა რამე, ის მუშების შეკითხვაზე ასე ამბობს: „მერე რა მე?“.

მუშას უკვირს: „როგორ თუ რა?“ თქვენც ხომ გარჩენს ქარხანაო?! ამდენ ფულებს რომ ღებულობთ, ციდან სცვივა ეს განაო?!


ქარხნის საქმე კი არ არის „მარალი და თარალი“. წარმოება დაეცემა და მოუვა ზარალიო.

სპეცმა უთხრა: „ამ ჩემს ფეხებს! ნეტავ შენ რად უხტებო?! ფული იყოს მრავალი და, სხვაზე მე არ ვსწუხდებო.“

მუშამ უთხრა: უმადურო, უმადარო ფულითაო, რომ შეგეძლოს ცხოვრებაში ჩაიხედო გულითაო, —

ნახავდი და გაიგებდი ეხლა არის სხვა ხანაო... და შენ ფულებს რომ ღებულობ, მას იძლევა ქარხანაო.

ზმ.შ.პი.



-- რა დაემართა ამ ოჯახს, რომ სახლიდან ამდენხანს არ გამოდის... ბიუროკრატი! ცოლი (ქმარს ოთანში):—ჯერ არ წახვიდე; ისევ რიგში დგანან: — დავიღუბე კაცია... სხვა რომ არა იყოს რა, ამ წმენდის დროს ბიუროკრატებს დამწამებენ!

გაღე



„მელოგინეს რომ ეშმაკი და უნი-
ლავე ძალა ვერ შეეპაროს და ცუ-
დი რაიმე ჭირი და სენი ვერ შეამთ-
ხვიოსო“.

თუ მივიღებთ მხედველობაში
იმას, რომ ასეთ დროს, როცა ადამი-
ანის სხეულმა, მშობიარობის ილაოს
მსგავს ტანჯვათა განცდის გამო,
მთელი რევოლუტია გადაიტანა,
მართლაც არის მოსალოდნელი ხში-
რად სერიოზული დაავადება.

და აი, თუ ასეთ დაავადებას, რა
თქმა უნდა, შემთხვევით გადაურჩა
მშობიარე, ხომ კარგი: ექიმბაში—
მეანები ამას უმაღლ ბაღის გრძელ
გავლენას მიაწერენ და ამით ყალბ-
რწმენას ამ შემთხვევაში ამ ყოველად
რაიმე ძალასა და ძლევას მოკლე-
ბულ საგნისადმი დრამად უწერავენ
უვიც ადამიანებს „მალიერა“ გულ-
ში.

მაგრამ ვსთქვათ, მოხდა წინააღ-
მდეგი და მშობიარე, რაიმე გარეშე
თუ შინაგან მიზეზის გამო, დაავად-
მყოფდა. გამოსავალს ამ შემთხვევა-
შიაც მონახვენ გაქნილი ექიმბაშე-
ბი, მუხლებზე ან ლოყებზე ხელებს
შემოიკრავენ და მწუხარე გაოცე-
ბით შესძახებენ: „ნახმარი ყოფილხ
ბაღეო“—ო. ან კიდევ საღმე შერღვე-
ული, ჩავარდნილი თვალის ძებნას
დაიწყებენ ბაღეზე და, თუ ასეთი
რამ აღმოაჩინეს, შეჰვივლებენ: „უი,
დაღვეს ჩვენი თვალები, ეშმაკისათ-
ვის „კარი“ ღია დავიტოვებია“.

აი, ასეთია საზოგადოთ ბაღის ძა-
ლა და ძლევა და ჩვენს ქედს ვიხრით
ამ ურიცხველად საგნის წინაშე.
ქედს ვიხრით და ვამბობთ: „თუ ორი
თვალის პატრონი ადამიანის ძალა და
ძლევა დიდია, მაშ, რა უნდა იყვეს
ძალა და ძლევა ბაღისა, რომლის
თვალოთა და ყურთა ანგარიშს არა
აქვს დასასრული?!.“

მაგრამ ბაღეც არის და ბაღეც.
გარდა კედის ძაფით (განსაკუთრე-
ბით მგარი ძაფი) მოქსოვილი გინ-
და მავთულით გამობწნილ თუ რკი-
ნის კეტებისა და ზოდების ერთი-
ერთმანეთზე გადაჯვარედინებით
გამობლანდული ბაღეებისა, საიდა-
ნაც თავს ვერ აღწევენ თვით ყვე-
ლაზე უფრო თავზე ნელაღებული
ავაზაკები, ლომები, ვეფხვები, სპი-
ლოები თუ სხვა რამ საშიში არუბა-
ნი, არსებობს კიდევ ბაღეები, სრუ-
ლიად უბრალო ძაფებით მოქსოვი-
ლნი და ზოგან ამოკერილნი კიდევ,
რომელთა ძალა და ძლევაც ზოგ-
ჯერ რკინის თვის უმსხვილეს ზო-
დებიდან ჩახლართულ ბაღესაც არ
ჩამოუფარდება ხოლმე; ნამეტნავად
—ზაფხულში.

მე მოგახსენებთ ზაფხულობით
პერანგის მაგიერად ჩასაცმელ ბაღე-
ებისა ანუ ეგრედწოდებულ „კვართ-
თა“ შესახებ.

არ ვიცი, რამდენად მიიღებენ და
არ ვიცი, რამდენად მიიღებენ და

ბაღე რომ ბაღეა, დიდი მარცხის
თავი და, თუ გნებავთ, კუდიც,—ეს
უეჭოა.
თევზი რომ თევზია, უენო და
წყლით მუდამ პირ-სავსე, იმანაც
მშვენიერად იცის, თუ რა ხიფათის
გადაწყრელი საგანია ბაღე.

აბა, ფრინველი რომელი ერთი
არა სცნობს ბაღეს, რომელ ერთს
არ განუცდია ფრთებსა თუ ბუმბუ-
ლის სხვა ნაწილებზე იმისი სასიყვა-
რულო შემოხვევის მთელი სიმწვა-
ვე და საშინელება?!

ამრიგათ, როცა ქვეყნად ერთად
ერთი „კვართი“ მოიპოვებოდა და
ისიც მარიამ—ღვთისმშობლის „ნა-
ხელავი“, მე მესმის, რომ ასეთი
„კვართი“ უნდა ჩაიკვა მხოლოდ
მწარმოებლის ერთად ერთ ძეს და
ისიც ისეთ უმამოს, ღოგორიც იყუ
იესო ქრისტე.

მაგრამ დღეს, როცა მილიონობით
„კვართი“ გამოდის ბაზარზე გასას-
ყიდათ, რაღა აზრი უნდა ჰქონდეს
„კვართის“ მონოპოლიას?!

ცხადია, — აღარავითარი!
აი, ასე საღათ ემსჯელობ მე და
ამ ჩემ საღ მსჯელობას უეჭველად
ეთანხმება თბილისში არსებული ყვე
ლა კოოპერატიული სავაჭრო, რო-
მელთაც უეჭველად ჰქონდათ „კვა-
რთთა“ განაწილების საქმეში ერთ-
გვარი „მონოპოლისებური“ უპირა-
ტესობა, რომ ამ უპირატესობით მათ
ესარგებლნათ და ერთ მშვენიერ
დღეს (ეს დღე გახლდათ ამა 1929
წლის 16 ივლისი, ეს ერთი ყველაზე
უფრო ცხელ დღეთაგანი თბილისში
მიმდინარე წელს) ყველა სრულ ანა-
გებოვან მამაკაცთა სარგო „კვართე-
ბი“ არ აღმოსჩენოდა ხელში კერძო
ჩარჩს, ხოლო კოოპერაციას და ისიც
რამოდენიმე ათეულში მხოლოდ ერ-
თად ერთ სავაჭროს — „კვართთა“
მხოლოდ ეგრედწოდებული „ნელო-
მერკები“, რომლებიც (ცალ ხელზე
ანუ ცალ ფეხზე ჩამოსატევეად
ძლიეს—ძლივობით გამოდგებოდენ.

მე რა თქმა უნდა, ყველა პატივ-
ცემულ ნოქრებთან ერთად, რომლე-
ბიც კი თბილისის ბაზარზე ზევით
აღნიშნულ მოვლენის დამკვიდრებას
ნებათ თუ უნებლიეთ უწყობდენ
ხელს, ვილაშქრებ „კვართის“ მო-
ნოპოლიის წინააღმდეგ. მაგრამ ამა-
ვე დროს სრულიად სამართლიანად
შევიწინავ: თუ კი მონოპოლია მა-
ინც არსებობს, რისთვის უნდა სარ-
გებლობდეს იმით არა კოოპერატი-
ული სავაჭრო, არამედ ვილაც ჩარ-
ჩის დუქანი?!. და რა კი ამ შემთხვე-
ვაში სიტყვა ბაღეს შეეხება,—„საზო-
გადოს კერძომ ურცხვად რათ დაუ-
გლს უნდა ბაღე?!.“

მე რა თქმა უნდა, ყველა პატივ-
ცემულ ნოქრებთან ერთად, რომლე-
ბიც კი თბილისის ბაზარზე ზევით
აღნიშნულ მოვლენის დამკვიდრებას
ნებათ თუ უნებლიეთ უწყობდენ
ხელს, ვილაშქრებ „კვართის“ მო-
ნოპოლიის წინააღმდეგ. მაგრამ ამა-
ვე დროს სრულიად სამართლიანად
შევიწინავ: თუ კი მონოპოლია მა-
ინც არსებობს, რისთვის უნდა სარ-
გებლობდეს იმით არა კოოპერატი-
ული სავაჭრო, არამედ ვილაც ჩარ-
ჩის დუქანი?!. და რა კი ამ შემთხვე-
ვაში სიტყვა ბაღეს შეეხება,—„საზო-
გადოს კერძომ ურცხვად რათ დაუ-
გლს უნდა ბაღე?!.“

მე რა თქმა უნდა, ყველა პატივ-
ცემულ ნოქრებთან ერთად, რომლე-
ბიც კი თბილისის ბაზარზე ზევით
აღნიშნულ მოვლენის დამკვიდრებას
ნებათ თუ უნებლიეთ უწყობდენ
ხელს, ვილაშქრებ „კვართის“ მო-
ნოპოლიის წინააღმდეგ. მაგრამ ამა-
ვე დროს სრულიად სამართლიანად
შევიწინავ: თუ კი მონოპოლია მა-
ინც არსებობს, რისთვის უნდა სარ-
გებლობდეს იმით არა კოოპერატი-
ული სავაჭრო, არამედ ვილაც ჩარ-
ჩის დუქანი?!. და რა კი ამ შემთხვე-
ვაში სიტყვა ბაღეს შეეხება,—„საზო-
გადოს კერძომ ურცხვად რათ დაუ-
გლს უნდა ბაღე?!.“

მე რა თქმა უნდა, ყველა პატივ-
ცემულ ნოქრებთან ერთად, რომლე-
ბიც კი თბილისის ბაზარზე ზევით
აღნიშნულ მოვლენის დამკვიდრებას
ნებათ თუ უნებლიეთ უწყობდენ
ხელს, ვილაშქრებ „კვართის“ მო-
ნოპოლიის წინააღმდეგ. მაგრამ ამა-
ვე დროს სრულიად სამართლიანად
შევიწინავ: თუ კი მონოპოლია მა-
ინც არსებობს, რისთვის უნდა სარ-
გებლობდეს იმით არა კოოპერატი-
ული სავაჭრო, არამედ ვილაც ჩარ-
ჩის დუქანი?!. და რა კი ამ შემთხვე-
ვაში სიტყვა ბაღეს შეეხება,—„საზო-
გადოს კერძომ ურცხვად რათ დაუ-
გლს უნდა ბაღე?!.“

ბაღე რომ ბაღეა, დიდი მარცხის
თავი და, თუ გნებავთ, კუდიც,—ეს
უეჭოა.

თევზი რომ თევზია, უენო და
წყლით მუდამ პირ-სავსე, იმანაც
მშვენიერად იცის, თუ რა ხიფათის
გადაწყრელი საგანია ბაღე.

აბა, ფრინველი რომელი ერთი
არა სცნობს ბაღეს, რომელ ერთს
არ განუცდია ფრთებსა თუ ბუმბუ-
ლის სხვა ნაწილებზე იმისი სასიყვა-
რულო შემოხვევის მთელი სიმწვა-
ვე და საშინელება?!

ამობენ, თუ ცხელ ქვეყნებში
ლომებსა და ვეფხვებსაც კი იჭერენ
ბაღითაო. მე არ დამიჭერია, მაგრამ
ბაღის ძალა რომ ვიცი, ეჭვი არ შე-
მდის იმათ ძლევამოსილებაში თვით
ლომ-ვეფხვებზედაც კი.

და რაღა ცხოველი არსება გინ-
დათ? აიღეთ თუ გნებავთ, გრძელუ-
ლი ძალები. მაგალითად: სიყვა-
რული, გინდ „ეშმაკი“.

ვის არ სმენია პოეტის საექსტაზო
გამოთქმა:

„სიყვარულის ბაღეს ვაფენ,
რომ შიგ სატრფო დავატყვევო-ო?!.“

და რამდენ შეეყვარებულს განუც-
დია თავის სათაყვანებელ სხეულზე
ასეთი გრძელუმი ბაღის შემოყრა
და შემოხვევა!..

ავიღოთ ახლა გრძელულობის მე-
ორე უკიდურესობა: ეშმაკი, უხი-
ლავე ძალა.

ცრუმორწმუნე ხალხს, ეშმაკისა
სიყვარულზე ნაკლებ არ ეშინია. პი-
რაქით, უფრო ადრე სიყვარულთან
და საყვარელთან კავშირის დაჭერას
რჩეობს იგი, ვიდრე ეშმაკთან, მიუ-
ხედავად იმისა, რომ, აღმართისა და
დაღმართის არ იყვეს, პირველი უკა
ნასკნელზე ნაკლებათ საფრთხილო
და სახიფათო სრულიადაც არ არის.
ეშმაკმაც სწორედ ისე იცის შემოჩე-
ნა და ნელი-ნელ თავის შემოპარე-
ბა, როგორც სიყვარულმა. ხოლო
შემდეგ იმავე შემოპარებულ-შემო-
ლეკვებული თავის დაძვრენაც ისე-
ვე ეხერხება, როგორც პირველი.

მიუხედავად ყოველივე ამისა,
ბაღის ძალას და ძლევას ვერც ეშმა-
კი უმკლავდება.

მაგალითად, სოფელში თითქმის
დღემდე არის ბეგრავან თავშემონა-
ხული ერთი ცრუმორწმუნეობრივი
ჩვეულება: ქალი რომ მოლოგინდე-
ბა, რამდენიმე დღის განმავლობა-
ში, მგონი— ორმოცი დღისა— მის
ხემოდან, ჭერში ბაღეს ჩამოაკიდე-
ბენ ხოლმე. ძველი „დედამანიებს“
(დედამანი უნდა იყვეს **ონისიძე**)
რომ შეეკითხოთ, თუ რის მაქნისია
ეს ბაღე, ისინი ასე გიპასუხებენ:



ცოლი: — უან, ამიხსენი: რა უნდათ კომუნისტებს, რომ ასე საშიშ-
რათ ახასიათებენ მათ?

მმარნი: — ოოო! საშიშარნი არიან, საშიშარნი... ისინი კერძო საკუ-
თრებას არ ხცნობენ. მაგ. ისინი ცოლს ქმრის საკუთრებად არ სთვლიან!
— ყოჩაღ!, ვაშა... ეს კარგია!

მაგაში არაა საქმე

(რუსულიდან)

— დედა, დედა, პელანგია, შენ
მოგიკვდა ჩემი თავი! რავალი გემ-
რიელი ცხოვრება გქონდა და რავა
დეიდუპე შე უბედურო! ქვეყნის
დაქცევას ვიფიქრებდი და თუ შენ,
ამბაკოს პარტიიდან გაჩისტავდენ,
ეს კი აღარ მეგონა სწორედ!

— ძნელია, ელუკია, ჩემი მდგო-
მარეობა!... იმ დღიდან, რაც ის საწყ-
ყალი ჩემი ქმარი გამოიჩისტეს პარ-
ტიიდან, თვალზე ცრემლი აღარ
შეშრობია! საწყყალი ამბაკოც სულ
გამოშტერებული დაიარება უბედუ-
რი!

— რას ამბობ, ჩემო პელანგია,
ხუმრობა საქმე კი არაა აგი! მე მეს-
მის შენი გულის ტკივილი, ჩემო
კარგო. ძნელია ასტე უცებ პოლი-
ტიკური საქმეების ჩამოშორება,
მაგარაშ...

— მაგაში არაა საქმე, ჩემო კარ-
გო. აბა, ახლა შენ წარმოიდგინე,
თუ რა ცეცხლში ვარ ჩავარდნილი!
კაცი განყოფილების გამგეთ ირიც-
ხებოდა ქარხანაში და ახლა უცებ
მანტიორათ გადაიყვანეს. ამის შემ-

დედ ღირს და განა ჩვენი სიცოცხ-
ლე!

— მერე, რაია აქანა გლახა, ჩემო
პელანგია! მანტიორს შეუძლიან,
გამგეზე მეტი ჯამაგირი აილოსო...

— მაგაში არაა საქმე, ჩემო ელუ-
კია! აბა, წარმოიდგინე და ყურად-
ღება მიაქციე, თუ რავალი დამცი-
რებაა.

— არ ვიცი ღმერთმანი, თუ რა
დამცირებასა ხელად შენ აქანა! მან-
ტიორის შრომა გაცილებით უფრო
სასარგებლოა და ძალიან საჭიროც.

— მაგაში არაა საქმე, ჩემო კარ-
გო! შენ ამას დააკვირდი და წარ-
მოიდგინე. წინეთ ჩემი ქმარი სა-
ლამს ზოგიერთებს თუ მისცემდა,
თვარა ყველას კი არ იძლეოდა. ეო-
ლა კი ყოველი ვიგინდარა, ყოველი
მუშა, როგორც მის თანასწორს ისე
მოექცევა და ხელს გაუწოდებს ჩა-
მოსართმევად! ხუმრობა საქმეა აგი,
ჩემო ელუკია! მერე და როგორ უნ-
და გადაეტიანათ ჩვენ ასეთი დამ-
ცირება!

გოგია.

— მიხაკოს სალამი!
— ოპო, სანდრა, შენ, ჭიათურაში
ხარ, კაცო.

— რა ვქნა, ძმაო, ჩამოვედი მეც—
ტყიბულში შეგვამცირეს და ხომ იცი
ტყიბული და ჭიათურა ძმებია. ჩამო-
ვედი და ვმუშაობ. სხვა, შენ როდის
ჩამოდი? ხომ არ მოწყობილხარ ჯერ
სადმე?

— არა, სამი დღეა ბირჟაში დავდი-
ვარ, მარა ჯერ ჩაწერაც ვერ მოვა-
ხერხე.

— კაცო, იქნებ ბიქტორა ცხაკაია
ნახო სადმე და დაგეხმარება; მოვაწ-
ყობს.

— შენ, ძმაო, საოხუნჯოთ მოგიც-
ლია.

— კაცმა თუ რამე გიჩია, შენ ქე
გწყენია და მე მეგონა — გასწავლი-
დი კაცს, რომელსაც შეუძლია მოვა-
წყოს სამუშაოზე.

— მერე და, შენ თუ მასხარათ არ
მივდებ, ბიქტორა ცხაკაიას ვინ კი-
თხავს კაცის მიღებას? ამას თვითონ
რომ უნდოდეს მიღება, არ მიიღებენ
ჯერ ერთი არსად უმუშავია, კავში-
რის წევრი არ არის და, გარდა ამისა,
შავი სიისაა და ხმის უფლება ახლი-
ლი აქვს.

— ეჰ, ჩემო მიხაკო, ნუ თუ შენ
მაგი გიკვირს? პროტექცია, ბიძია,
სხვაგან თუ არის, ჭიათურაში შავი
ქვის ჰაერი კი არ აწყენს.

— ხო-და, ნოე გოგავას ხომ იცნობ
— ის არის აქ ფორულდზე. ბიქტორა
ცხაკაია კი მისი შვილის ნათლიაა.
ნათლიამ ნათლი-მამას ნათლიმამობა
გაუწია და ბიქტორა ცხაკაია გაუშვა
ათის თავად მეჩხერაში, შემდეგ ბიქ-
ტორამ ამხანაგობა გაუწია და ძმურათ
მოაწყო რამოდენიმე მისი ნაცნობები.

— კი, მარა ვერავინ გაიგო შავ
სიელის დაწინაურება? კავშირის წე-
ვრები რომ არიან უმუშევრები, ისინი
გაეშვათ სამუშაოზე და შავი სიის
კაცი მოესხნათ!

— აქ ბირჟიდან არ თხოულობენ
ხალხს. თუ ბიქტორას ვერ ნახავ, მა-
შინ დათიკო ერგემლიძესთან მიდი და
მივლიტებს; არც ის თხოულობს ბირ-
ჟიდან მუშებს.

— დათიკო კომუნისტია და ის რა-
ვა იზამს მაგას!

— კაცო, შენ რავა ბოვშივით ლა-
პარაკობ. დათიკო ერგემლიძესთან
რაც მუშებია; ყველა დათიკოს მიღე-
ბულია.

— შავი სიის ხალხი უფრო უყვარს
და უფრო ლობიერათ ეპყრობა. ნა-
თქვამი აქვს ზოგიერთებისთვის: „მე
ავივირდები მხოლოდ სხვების შესა-
ხედავით, მარა შენ არ გეწყინოს და
მართლა არ გეგნოოს.

ამისთანები ხდება, ბიძია, ქვეყანა-
ზემ მადაროელი ტანკა;



ფოსტის გამგის ონები

ჩონბათური

სანამ კაცს კორესპონდენტის სახელი გაუვარდებოდეს, მანამ სჯობს ცხრა მთას იქით გადავიკარგოს, თორემ ცუდად წავა მისი საქმე.

ამას იმაზე მოგახსენებთ, რომ ერთხელ გამიწყრა გამჩენი და ერთი ბატარა წერილი დავბლაჯნე კედლის გაზეთში ჩვენი ფოსტის შესახებ. ქვეშ დიდი ასოებით მოვაწერე ჩემი სახელი და გვარი, ვიფიქრე: გამგეს ნაკლი ვუჩვენე გაუხარდება და გამოასწორებს. ესლა ხომ კრიტიკისა და თვითკრიტიკის დროა მეთქი.

მაგრამ მოეტყუა.

გვეხებდე, გამევიდა მეორე ნომერი კედ. გაზეთი და რავაც შევხედე, ისარივით მომხვდა თვალეზზე: „პასუხად ვაქბატონს“ ამას და ამას (ჩემი სახელი და გვარი იყო გამოქიმილი).

წვევიკითხე, მარა რა წვევიკითხე: „შენ ცივანო და მამაძალო, დაწირაკო, გაიძვერა, შენ გასურს ააფორიაქო ჩვენი პატიოსანი დაწესებულება, მარა ვიტყვებ თვალეზს, შენ ინტრიგანო, დავიწყია რაცხა ჯღაბნა და ხალხს ვინდო ჩვენი პატიოსანი სახე უპატიოსნოთ უჩვენო. თუ შეგარჩინო მაგი, ქე ნახავ ავერ!

ჩონ. ფოსტის გამგე ი. ჩივიკიშვილი.

დღეიწაფრე კაცი. რა უნდა ვქნა ახლა. ისევლე მევიკატუნე ლავი კატისკნუტივით და ვიფიქრე: ამას როგორც იქნება მევიწილობე მეთქი. მარა რავა შეგონა თუ ვინმე რამეს იტყოდა ჩემზე.

გვეხებდე და დაიწერა „ახალსოფელში“ ვანესა მეგრელიშვილზე და „ეპო“-ს თავ-რეზე. მე დამაბრალებს იმან დაწერაო. დეიწერა — „ტარტაროზში“ მე დამაბრალებს; დეიწერა „კომუნისტში“ — მე დამაბრალებს, დეიწერა „მუშა“-ში — მე დამაბრალებს, დეიწერა „ახ. კომუნისტში“ — იგიც მე დამაბრალებს. ერთი ღერი რუსული არ ვიცი. მარა რავაც დეიწერა ჩონბათურზე რუსულ გაზეთში. თქვეს: ეტო ამის დაპისაღბეული ზნაჩიტო. არ ვიცი რამდენი ბრალია ჩემს კისერზე.

ამას წინედ ფოსტის გამგეს დაუკავებია ხელში გაზეთი და მეძებს კვარიების მიძებრებევით. დამინახა თუ არა, მოვარდა ჩემთან და დამიყვირა. —

— ყმაწვილო, შენ კიდევ არ მოიშალე შენი ჯღაბნა? ვიტყვებ თვალეზს. აბა ვნახოთ, ან შენ ან მეო! — და მაგრად შემომიკურთხა. დევიმუნჯე თავი, ენა რავა უთხარი, ანდა რამე რომ მეთქვა, გამხლენდა შუაზე. მერე ვანიჩქე რომაა ჩვენი დობტური, საღ ნახავდა კაცი. ანდა რომ მენახა, რავა მომარჩინდა. მომარჩინდა კი არა, დამახრჩობდა. იგიც ქე იყო გუშინილამ „ტარტაროზში“ გამოქიმილი და მე მამბრალებდა... ჰოდა, იმას ვჩიოდი, გვევილურსე.რა მექნა არ ვიციოდი, ისევლე დავბრაწე თვალეზს ჯღამარა კატასავით და ვიხედები იქეთ-აქეთ. ფოსტის გამგემ სხვა ხიფათი არ გადამიკიდოს მეთქი. გვეხებდე და რა ვნახე:

— ძმაო ვალოდია, ესლა შენ უნდა მიშველო. იგი ბიჭი სადმე უნდა გადამაკარგვიო, თორემ ცუდათ ვადაძე კიდა! — ეუბნებოდა ფოსტის გამგე გამომძიებელს.


— ფიქრი ნუ გაქვს, — ამყათ მიუგო გამომძიებელმა, — შენ მოწმეებათ ჩვენი დარდიმანდი ძმა-ბიჭებს დასახელე, შემდეგ მე მკითხე — პროკურორს მივწერ: ტყუილად მოჭრეს ჩვენს იოსებს თავი—მეთქი: პროკურორი რედაქციას მისწერს: თქვენს გაზეთში მოთავსებული წერილი ჩონბათურის ფოსტაზე როგორც ჩვენ გამოვარკვეით, არ არის მართალიო. მერე შენ, ჩემო იოსებ, დევიტყრე ჩვენი ნარკვევი ხელში, მიაკითხე ჩვენს მიხაკაის სულში და შენი გაზეთში გამწერს ძალი მიაკვდე სულში.

— ხა-ხა-ხა! — გადაიხარხარა იოსებამ, — რა ბიჭი ხარ, რა! — და მაგიდაზე ხელის დაკვრით დაუძახა კლუბის გამგეს: — ქეთო, ლუდი კიდევ. — და შეუღვენ სადღეგრძელოებით ერთმანეთის ქებასა და დიდებას.

შაქრუა.


მო ხოვნილება ცოცხებზე

ინვალიდთა ნაღი „გლარჯა“ ბევრს ისეთ „ინვალიდთა“ იჯარებს, რომლებიც თავისი მდგომარეობით არ უნდა იყვენ ნაღის წვერებად. მაგ.: ავლაბარში შაუმიანის ბაღში ნაღს აქვს ბუდკა, რომელშიაც ვაჭრობს მეფის პოლკოვნიკი ნიკ. პულიაევი, რომელიც სახლში მართლაც პოლკოვნიკურად ცხოვრობს.



„გლარჯა“-ში

სახლში



მატარებლის სისწრაფვს უ ავტოსი = ამხ. მამა ლაქის სისწრაფვს

„ქვე-აბონენტი“ — „ტელას“ — „ტელასის არის ოტელ ბი“

ტარტაროზმა დამავალა:
— წადი ტელასში და გაიგე — რაშია საქმე, რომ ხალხი ასე უკმაყოფილოა ტელასის!

შევედი ბატიოსან მოქალაქესათვის და ყური დავუგდე.

— კაცო, ძმაო, მეგობარო, ამხანაგო, მე რა დამიზავებია, რომ სინათლეს მიჭირთ? თუ ის კაცი არ იხდის სინათლისა და ვაყვანილობის ფულს, მე რას მერჩით? — ელაპარაკება მოქალაქე განყოფილების გამგეს.

— თქვენ ჩვენ ვერ გიცნობთ. თქვენ ხართ ქვე-აბონენტი, აბონენტი ის არის. ჩვენ სინათლე მას გადავუჭერით და არა თქვენ. — არის მოკლე პასუხი.

— კარგი და, ორი წელიწადია ეს ამბავი გრძელდება. რატომ ამდენხანს არ აიჭურეთ აბონენტი, რომ დაეფარა გადასახადი?

— არ იხდის და რა ვქნათ!

— კაცო, ის თუ არ იხდის, შე რას მერჩით? რატომ არ მაძლევთ სინათლეს? მით უმეტეს, რომ ის ჩემს შემდეგ ღებულობს სინათლეს. შეგიძლიათ მას გადაუჭრათ და მე სინათლე მქონდეს!

— მოქალაქე, თქვენ ვერ გიცნობთ ვინა ხარ. თქვენ ხართ ქვე-აბონენტი. ჩვენ თქვენთან არ გვაქვს საქმე.

— როგორ ლაპარაკობთ? რევოლიუციამ საუკუნეების მიერ შემუშავებული წოდება გაათანასწორა და თქვენ ისევ ჰყოფთ კატეგორიებით მცხოვრებლებს? როგორ? განა ქვე-აბონენტია, თუ რაღაც ოხრობა, მოქალაქე არ არის თუ? ჩვენ ხომ გერები არა ვართ და არც ბუშები?

— რაც უნდა ილაპარაკოთ, მა-

ნც არაფერი გამოვა. თქვენთან ჩვენ საქმე არა გვაქვს. სინათლე ჩვენ გადავუჭერით ჩვენს აბონენტს. მორჩა და ვათავდა.

— მაშ რის ოხრობა ხელშეკრულება რა არის, რომ თქვენთან მაქვს დადებული და ვაყვანაში გადავინადე სამი თუმანი? — და გაბრაზებულმა მოქალაქემ მაგიდაზე დააგდო ხელშეკრულება № 5995.

— ეს არის ელექტრო-ვაყვანილობის ხელშეკრულება! — არის მოკლე პასუხი.

— შე ოჯახაშენებლო, სინათლეს თუ არ მომცემთ, რა ოხრობათ მინდა ის მავთულები? სინათლეს „ვოლხოსტროი“ ხომ არ მომცემს?

— არ ვიცი... თქვენ რა გნებავს მოქალაქე! — მიუბრუნდა მეორეს.

— რაღა რა მნებავს, გადავყვი ამ ელექტრონს. ის არ ჯობდა კვარი ამენთო სახლში და ეს არ გამეყვანა.

— რაშია საქმე? თქვენც ხომ ქვე-აბონენტი არა ხართ?

— ქვე ვარ თუ ზე არ ვიცი, მხოლოდ ის ვიცი, რომ სინათლე გადამიჭრეს. ფული გადახდილი მაქვს.

— ვის სახელზეა მრიცხველი?

— მეზობლის. ფულიც მას მიაქვს.

— ჰოოო, ის ყოფილა აბონენტი. თქვენ კი ქვე-აბონენტი. თქვენთან საქმე არა გვაქვს. ჩვენ სინათლე მას გადავუჭერით და არა თქვენ... თქვენ რა გნებავს? — მიმართა შემდეგს.

— ბატონო, გვადირსეთ სინათლე. ფული გადახდილია და სინათლეს კიდევ არ გვიერთებენ.

— მიმართეთ იმ ოთახში... თქვენ?

— მრიცხველი არ დაუდგამთ წე-

ლიწადზე მეტია და თუ შეიძლება...

— თქვენ რა გნებავს? — ეკითხება კიდევ შემდეგს.

— სინათლე გადავუჭერეს.

— გადახდილი ფული?

— ფული ჩვენ გადახდილი გვაქვს, მხოლოდ ერთს არ გადაუხდია აბონენტი.

— ჰოოო, ჩვენ ქვე-აბონენტთან საქმე არა გვაქვს. ჩვენ სინათლე აბონენტს გადავუჭერით.

— ასეთია მაგათი ლოდიკა! — ხელიაპარაკა ვილაცამ.

ერთმა მოქალაქემ სალაროში ფული გადაიხადა და მისცეს წიგნაკი, რომელსაც ყდაზე ეწერა „უფასოდ“ და შიგ 32 გვერდზე დაბეჭდილი იყო „ელექტრო-წესები“.

— აბა, ერთი ვნახოთ, თუ მართლაც ასე არააობას წარმოადგენს ქვე-აბონენტი, როგორც ამას ვამგვე გვეუბნება? — და რამდინიმე მოქალაქე ერთად შეჯგუფდა.

დაიწყეს კითხვა. გადაიკითხეს ბოლომდი.

მაგრამ, ოი, საკვირველებაც!

აღმასკომის პრიზიდიუმის სავალდებულო დადგენილებაში № 28-ში სიტყვაც კი არ არის „ქვე-აბონენტი“.

— მართლაც-და აღარაფერი ვყოფილვართ! ხელი ჩაიჭნიეს და წავიდნენ.

— ამდენი სინათლე აქვთ, მთელ ქალაქს ანათებენ და თავის მუშაობაში კი ჭრატის ოდენა სინათლეც ვერ შეიტანეს. — ჩაილაპარაკა ვილაცამ... (არა მართლა, არავის ჩაულაპარაკებია, ეს მე ვიფიქრე) და წამოვედი რედაქციაში.

ერთი - მრავალბოთანი

სახილვე - საალაფო კოლექტივის მე-13-ე
მაღაზნიის გამგედ ითვლება ფადაროვი,
რომელიც მუშებს უხეზად ეპყრობა.
ლოლფსპირელი:

ახალდაბა (ზოჩგოზის რაიონი)

სახერხი ქარხნის ვაზზე ზლიაძეს რამე
დენიმე თანამდებობა უჭირავს, მისი მუშაობა
ობით მუშები უკმაყოფილო არიან.
ქელოტიკა
ქელოტიკა
ქელოტიკა



ფადაროვი (მუშას):—დაჩუმდი, თორემ ისე გა-
დაგყლაპო, როგორც მწიფე ნუში!




— ამბობენ: „ორი კურდღლის მდევარი ვერც ერთს
ვერ დაიჭერსო“... ეს მართალია, როცა კურდღელი გა-
რბის... ხოლო მე, აი, ორი უკვე მიპყრია, მესამე და მეფ-
თხესაც ადვილად დავიჭერ.

ბ ა თ ლ მ ი ს ა ვ კ ა რ გ ი

გავიდა უკვე საკმაო ხანი,
რომ არ მჭერია კალამი ხელში;
თუმცა აქ ბევრსა აქვს ზურგი საფხანი,
ზოგი ხსნას ელის იქ, სამოთხეში.
ქუჩა ფართოა, ბალახით სავსე,
ზოგან ხმაური, ზოგან კი მშვიდი;
აქ ძმა-ბიჭებით ყელამდე სავსე.
ავტო მიფრინავს—ნომერი შვიდი.
წინ პატრონი ზის—შოფერის ადგილს,
გვერდით უსვია მანდილოსანი.
ავტო გიჟსა ჰგავს, გიჟსა ჰგავს ნამდვილს.
მიფრინავს ისე, როგორც ფრთოსანი,
უკან, ავტოში ადგილი რბილი
—ლინჯად უჭირავს ორ ლამაზ მურას,
ერთს ჩასცვენია, სჩანს, უკვე კბილი
მეორე კი ჰგავს დაჭერილ ტურას.
ამ ძაღლებს შორის ზოგჯერ ზის ბავშვი,
ვით შერეული აცეცებს თვალებს;
ავტო მიფრინავს, ვით ტყეში შაშვი,
და წინ შემომხვედრს არვის იბრალებს.
მირბის, მიფრინავს ის უგზო უკვლოდ,
მიჩხავის უკან თელილი მისგან;
ის გაიწერა გაზეთშიც, მაგრამ
ასეთი მაინც არ ესმის სხვისგან.
შემდეგი არის ერთი ყმაწვილი;
თანამდებობის თუმცა არა დიდის,
მუდამ დაყვება მას გვერდით წყვილი,
სადაც არ უნდა, იქაც კი მიდის.

აბა, სოლომონს ვინ აღარ იცნობს;
ძველი ლოტოსი ეს უსტაბაში,
რადგან დღეს იმას აღარავენ ნდობს,
ამიტომ უკვე გაუქრა ფაშვი.
ძველი გაცვეთილ ჩერქესკოვანი
გარს ახვევია, ვით თაფლს ფუტკარი;
წინად ისინი იყვნენ ხმოსანი,
მაგრამ დღეს კი მათ უარი უთხარით
ლენინის ქუჩის ერთ-ერთ კუთხეში,
დუქანი არის იქ ძველთა-ძველი;
პატრონი არის არა უხეში,
არც სამუშაო რამე აქვს ძნელი.
რძე, ჩიი, ყავა, კვასი და „პივა“,
წყალი, ნაყინი, პეროყნი, ბულკი,
მუდამ ბევრი აქვს, თუ ვინმე მივა,
კარგად მივიღებს, იკადრებ თუ კი.
მოხუცი არის და გულკეთილი,
მოსამსახურე ქალებთან მეტად,
წინად ყოფილა გამოცვეთილი,
და დარჩენილა ამ ქვეყნად კენტად.
„ჩამწვარი“ არის, რა ეშველებს,
მოხუცი ჯანით და არა გულთით;
ლამაზებს მაინც თავზე ევლებს,
ლამობს იყიდოს ცხოვრება ფულით.
კიდევ ბევრი მყავს მე აქ გმირები,
გამოსაგზავნი საექსკურსიოთ,
უნდა დავტვირთო მათი ვირები,
აღარ მცალიან საღისეუსიოთ.

კ. ოგოლმ.



ცხენი: გამგეს რომ ბევრი ნაცნობი ჰყავდეს, განა-
ჰველა ჩემი ხატრეცია!

ჩვენი ამბავი

ვანი, (ქუთ. მარა)

ზოგჯერ თქმა სჯობს არ თქმასა,
მაგრამ ჩემად როგორ ვიყო?
მაშინ ლაჩარს დამიძახებს
მეზობელი ჩვენი ნიკო.
არ იქნა და არ გვეშველა
ვანის გული ტკბილად ძგერდეს,
რომ არ მოხდეს ცუდი რამე,
ჩანგი მწარედ რომ არ ჟღერდეს.
რომ გლეხობის ჩვენს ელოზე
არ მესმოდეს საყვედური;
გალუშამ რომ ფული ყლაპა,
თუმცა ამოცხეს ნიშადური.
რომ არ მოხდეს ცუდათ ცდენა
ყოყრიანი ხელებისა,
ვსაქვათ, გლეხობის რა ბრალია
საქმე ინჟინერებისა?
სულარს კული მოაგლიჯეს,
როინს მიეგრძელებსა,
გავიარე, ვერ ვიპოვე
კვალი დიდრონ ძელებისა.
ვინ რა თანხა ჩაიყარა,
მადლიანი ხელეებითა!
წყალმა ყანა ჩაგვიყლაპა
თავის დაბლობ-ფენებითა.
წყალთა ოლქის ტენიკოსი
ფიჭრებს ებრძვის ცერებითა.

„ძველი ჩარბა“

ტარტაროზ, უნდა მოგწერო
ამბები პატარძულის;
ვინ არის უფრო ჭკვიანი,
ან-ღა ვინ გადარეული.

პირველად გლეხკომს ვაგაცნობ
იქ სიკო ვახლავს მესტვირე,
სავსე ბოჭკების დამცლელი,
ცარიელების შემტირე.

გლეხკომს განაგებს ვაჭარი,
რადგანაც სიკო მთვრალია,
ხმა წართმეული კი არის,
მაგრამ რა სიკოს ბრალია...

ვაჭრობას „სპეცი“ სჭირდება,
ეს სიკოსათვის ცხადია;
მიტომ მიწინებს თურმე იქ
ვიკუს ხელით მწვადია.

საკუთარ პურსა აცხობენ,
გირვანქა ხუთი შაური...
მაგრამ, ოჰ... ფასებს არ ვიტყვი
სიჩუმით გვერდსა აუვლი.

ყოპერტივს მივადგეთ
სჯობს შევიხედოთ, ძამია,
უწინ თუ ვასოს ფულები
იქ ბლომიად შეუქამია...

სამაგიეროდ განაგებს
დღეს „დარდმანი“ კაცია
მისგან გაყიდულ ფარჩები
უფრო ლამაზებს აცვია.

სამკითხველოში შეხედვა,
ტარტაროზ, მეტად ძნელია,
მას აძევს დიდი ბოჭლომი
და გამგეც საძებნელია.

მო, ისევ სხვაგან წავიდე
იქ გლეხთა სკოლა ახლოა,
რომლის გამგეა მიქაძე
(ვა, მართლა სავაგლანოა).
კაცი „ბეჯითი“ და „მცოდნე“
„სპეცი“ და „მალაზმინი“,
თუმცა კი მისგან სკოლამა
იგემა დიდი ზიანი.

სამანცარი.

აგარაკი

ამ ზაფხულმა სიცხეებიც დაიჭირა რაკი,
ყოველ წუთში ელანდება ჩემს ქალს აგარაკი.
მეუბნება: ვერა მიდის, ლიდა, ჯაჯუ, კატო.
სირცხვილია მთელ ქალაქში მე რომ დავრჩე მარტო.
„დიდაკეების“ ცოლებს ბაძავს, აღარ მაცდის, მიდის;
სახარჯო რომ ვერ უმოვნე, სახლის აფეჯს ჰყიდის.
არ დავეძებ, თვარ შეემთხვა რამე ფათერაკი.
ის მაშინებს, რომ ვაჟებთან უყვარს ლაპარაკი.
მუჭარით და ბრაზით მითვლის, რომ უგზავნო ფული,
და იმითი დაუმტკიცო ქმრული სიყვარული.
ნუ თუ აგი აღარ იცის, რომ ზავებს ძლივს ვარჩენ?
ღმერთო ამგვარ ხათაბალს რლდის გადამარჩენ.

სანი.



აბაზისა რადიო სადღაც ან- ლი ახლია

სოციალისტური რეკონსტრუქცია ჩვენში წარმატებით მიდის წინ; ინდუსტრიალიზაციის ტემპი არა თუ არ წელდება, ძლიერდება, მტკიცდება და ვითარდება, სისწრაფეს მატულობს. ასე გასინჯეთ, სოფლის სოციალისტურად გარდაქმნაც არ ჩამორჩება საერთო ტემპს; აქაც მიღწევა მიღწევას სცვლის. წელს საბჭოთა საერთო მასშტაბით ბუნებას კი სთმობს და, როგორც გაზეთები თუ ტელეგრაფის სააგენტოები გადმოგვცემენ, მოსავლასაც კარგი პირი უჩანს: იგი საშუალოზე უფრო მეტია მოსალოდნელი. ყველაფერი ეს სასიხარულო გუნებაზე გაყენებს საბჭოთა ერთეულ მოქალაქეს, საკმაოზე მეტ ოპტიმიზმით გამსჭვალვს და მზად ხარო შესძახოთ მტრებს: „ხმა ჩაიკმინდეთ“

და მტრები მართლაც იკმინდენ ხმას... ჩვენში კი ამ დროს ხმას უმატებენ გაზეთების გამყიდველები და რადიო-მოლაპარაკენი.

მხოლოდ საკითხავია: ყველგან უმატებს ხმას რადიო-მოლაპარაკე? თუ „აბაზელი ვორეჟოში“-ს დაუფერებთ, (ხოლო არავითარი საბუთი არა გვაქვს, რომ არ დაუფეროთ) აბაზაშიც მდგარა ოდისმე რადიო. მართალია, ხმა ცოტა ხრინწიანი ჰქონდა, მაგრამ მაშინ ჯერ კიდევ ზამთარი იყო და ხალხი ამას წრევანდელ უზომო სიცივეებს აბრალებდა. აბაზელებს იმედი ჰქონდათ, რომ სიცაა გამოზაფხულდება, ბუღბუღი, შაშვი და ტოროლა აკრიმანჭულდება და სხვა

რომ არა იყოს რა, იმათი მიბაძულობით მაინც ჩვენი რადიოც ხმას გაიწმენდს, გაისუფთავებს და დაგვტკბობსო. ამ ნაღდი იმედით აბაზელი მოქალაქეები ისმენდენ იმ ხმა-ხრინწიან რადიოს მაშინ და ითმენდენ, სულგრძელად იტანდენ. ისინი ასე მსჯელობდენ: „ჯერ-ჯერობით ეს ვიკმაროთ და „ღმერთი“ მრავალსა ზედან დაგვადენს, ხომ გავგონიათ: „დალეულს დამპალი სჯობია“-ო.

მაგრამ „დამპალიც“ მალე დაილია და ხრინწიანმა რადიომაც თავი დაგიკრათ. ის კი არა, აბაზის რადიოს ის პირველი თავის დაკვრა ყოფილა სწორედ უკანასკნელიც და საბედისწეროც. მას შემდეგ ის უკვე აქ აღარავის უნახავს არც ხრინწიანი და არც უხრინწო. ხალხი სჩივის: იყოს ბარემ ის ხრინწიანი, სულ არარაობას ისევ ცხრა უღელი ხარი სჯობია“-ო. კაბა თქვენ ნუ მომიკვდებით, ცხრა უღელი ხარიც, რომ საცოდავ აბაზის რადიოსთვის არ დაედგათ კისერზე საუკუნო მონობის ულოოი და არ ჩაეკეტათ ბნოლ ოთახში, სადაც ის, ალბათ, თავის რახრინწიანებულ ყელს ახლა უკვე უნაგითა და მტვერით იკურნავს.

აი, საი არის საჭირო მართლაც მკურნალი და კულტურის ფრონტზე აღმოსფერის აირ სათანალოთ გამჯანსაღებელი მუჯღუგუნი.

მაგრამ, ვაჰ, თუ ალაპოს მუთა ნიც არ მყოფი..

ჩვენი მკითხველები, ალბათ, უკვე დაეჩვენენ „ჯოჯოხეთის კუთხე“-ში მარტო იმათ ნახვას. ვის შესახებაც

გვწერენ ჩვენ ჩვენი მკითხველები ტბი. მაგრამ ამ ერთ-ერთი იქნება ჯირ-ჯირობით მკითხველი აქ, წინა-აღმდეგობა მოლოდინისა, იხილავს თვითონ კორესპონდენტს ალექს. ეს ალექსო, როგორც სჩანს, დიდი კაცია უნდა იყვეს, დიდი პოეტი და, მაშასადამე, დიდი პრეტენზიების პატრონიც. ის ჩვენ გვწერს მთელი ქუთაისის სახელობა და გვწერს ერთ მეტის მეტად საფრთხილო საგანზე. წერა, რა თქმა უნდა, ასეთ საგანებზეც შეიძლება, მაგრამ ამისთვის კაცს დიდეს პასუხისმგებლობაც მოეთხოვება. ჩვენ არ ვიცით, თუ რამდენად გააჩნია პატივცემულ ალექსს ეს პასუხისმგებლობა, თუნდაც ფორმალური საბუთების ძალით. რაც შეეხება ნაწერს, აქ კი ვერ სჩანს ასეთი რამე, სჩანს მხოლოდ დიდი პატიოსანი, გულზვიადობა და ამდენივე ეგოისტური ზრახვა. ასეთ კაცს, ჩვენის აზრით, არ შეუძლია არა თუ მთელი ქუთაისის სახელით ლაპარაკი, არამედ თუნდაც ერთი უბრალო სრულყოფილი მყოფი კაცის სახელითაც კი თავისი საკუთარი თავის სახელით კი მას, რამდენიც სურს, იმდენი ილაპარაკოს, თუ კი ვინმეს სურვილი ექნება მისი მოსმენისა. რაც შეეხება „ქუთაისის თხოვნა“-ს ტარტაროზში დაბეჭდვას, ეს შეუძლია იმედი იმ უზარალო მოსაზრებით, რომ ეს ამჟამად დაგვებეჭდა, ვაი თუ ავტორმა შემდეგ მთელი საბჭოთა კავშირის სახელით მოგვმართოს და მოგვითხოვოს კიდევ ამ თავისი მომართვის ობიექტება. მოდი და ასეთ დიდ გორას ანოთარებულ კაცს შენ გაუბედე შემდეგ უარი ასეთ პატარა თხოვნაზე.

ჭირ-ვარამი

ხონის

სასადილოს მიაკითხე,
რა თქმა უნდა, ვამგეს ნახავ,
შეიძლება ნარდს თამაშობს,
ტარტაროზო, ნუ უძრახავ.
რომ შეხვიდე, მოითხოვე
ან ხარჩო და ან სოუზი,
საიილოდ არ დარჩები,
სალამომდის, თუ მოიცდი.

—:—

გხლა ფრთხილად მიაკითხე
საქონლისა ფერწალ ვანოს,
ტარტაროზო, — შენი ნახვა
შეიძლება არ ეამოს.
წისქვილიდან სიმინდის ფქვილს
ატანს ზურგით თავის დარაჯს,
შენი ჩანგლის ეშინია
ყოველს გეტყვის არ დამალავს.
ტარტაროზო, შემდეგ მოგწერ
დაწერილებით იმის ნაკლსა,
მაგრამ, მგონი არ დამპირდეს:
წაეგება თქვენს ჩანგალსა.

დ. ხონელი.

„შეურაცყოფილი“



— რას ერჩოდი? რად ხცემე ამ კაცს?

— შეურაცყოფა მომაცენა: ჯერ დიაკვანი მიწოლა, მერე: მღვდელი, გენერალი და რომ მეცლია, მგონი, მეფემდე ავიდოდა!

თ ა ვ ი ი მ ა რ თ ლ ა



— აღდგომას თავადების ოჯახში გივლიათ ვიზიტზე!
— მათ ვარდა სხვას არავის გადაუხდია აღდგომა, და აბა, რა მექნა?
(დევნილი)

მ ო თ ქ ე ა

ბედი არ წყალობს ამ სოფელს, ერთხელც ვერ ნახა სერიო, თუშცაღა მას არ აკლია გართობა, თვალს სერიო, უცოლო მასწავლებელმა, ერთხელ შეირთო აქ ცოლი, და გაიჩინა მარტოკამ თავის ამქარი და ტოლი. ეს აოვის გაჭკვირებშია. არც იყო გასაკვირველი, — რადგანაც მასწავლებელმა შეირთო მასწავლებელი. ერთი ეძებდა საცოლეს, მეორე — უქმროდ კვდებოდა; ერთმანეთს ღმერთმა შეყარა, მით სხვას რა დააკლდებოდა! ორივე წყალმა წაიღო, — ჩვენც რა გვინდოდა მის მეტი. მოგვცილდა დიდი ხანია იმ უმეზავსო ჩარჩები. ნაცვალდ გვეწვია სულ უცხო კაცი უცნობი, ხონელი; ახან აზრდა და ლამაზი ბერ. ამის გამოგონელი. მას პოპყვა კიდევ ასული ლამაზი, ზორობა ტანადა; მზად იყო ახალგაზრდობა მათ სტუმრად წასაყვანადა. გახშირდა სმა და ქეიფი რიგრიგობ ყველა გოებისას, თერებოდა მასწავლებლები, ვერ სძლებდა დაღმას ფეხისას. ვიდოდნენ წყვილად ორნივე, დარდას არ უშვებდნენ გულშია, მაგრამ უეცრივ გაეხნენ ურთიერთ სიყვარულშია.

გუტო მასაშვილი,

კარგი მაგალითი (სო.ვ. ჭვავუღე)

ვაჭრებმა დახურეს ღუქან-მაღაზია, და ხელდაკრეფილნი უსაქმურად ზიან. ნატრულობენ ჩვენთვის „ხიფათსა და ზიანს“, მაგრამ ვერვინ შეცვლის ჩვენ ცხოვრებას მზიანს. ძველ დროს იგონებენ, გულამოსკენით ისევ, როცა ვეღარ ძრავდენ გამრგვალბულ კისერს. კულაკიც მის გვერდით ცხარე ცრემლით სტირის; გულეები გაუსკდათ სოფლის „კოლექტივით“. აღარ არის მიწის გაყიდვა და გაცლია; ზღება გაერთიება, საკუთრების ნაცვლად. დაეკარგა ფასი გუთნებსა და კაფებს; გაუმარჯოს ტრაქტორს, მუშის ძლიერ მკლავებს. მღვდლებსაც ჩაუფარდათ კოვზები ნაცარში: ძირს მათ უჭირთ სუნთქვა, და ღმერთებს კი ცაში. შეიკირეს „სტაკი“, ზოგმა ჩოხა, შუბა; ძველი ეკლესია გადაკეთდა კლუბად. აღარ უნდათ ლოცვა, ხატი, რჯული, ღმერთი, მათი ცრემლის ღვარი ოკეანეს ერთის. რა მოხდებოდა ვინ იცის, რომ ღმერთი არ გასწყრომოდა,

და მასწავლებელ ყმაწვილსა ცოლი არ წამოსდგომოდა. ვინ უშველიდა უბედურს მასწავლებელსა სანდროსა რომ ისევ იგი შემთხვევად აღარ დაეხსნა ამ დროსა. შეიბნენ ორი ქალები, ომი გაჩაღდა ძლიერი ჩხუბობდა ორი მოცილე ახალგაზრდა და ხნიერი.

პ. თბილი,

„დავესკა“

— ჰო, მართლა, ქოთანნი არ დაგავიწყდეს; ერთი კაი სარძეო ქოთანნი იყიდე, ძროხამ გამიტება, ერთი კობზი წამეიდე, ერთი კაი კვირისტავი, თუ გინდა კაი წინდები დაგიქსოვო ზამთრიზა. ერთი გობი მიყიდე, გაწვალეზული ვარ უგობობით... ფულს ზომით გატან, კაპიკი არ მოაკლო. ეგენი რო იყიდო. მერე კომპერატიაში შედი და ერთი ნ მეტრი ნარმა იყიდე მე და შენთვის. ჩითიც იყიდო ეგება, ეფათ თუ იქნა... ხო, გესმის ახლა? სერგის ღუქანთან რო გეიარო, რაც ვპაიჯოს, არ შეჰყვე ღუქანში, თვარა ფეთებას გაგიჩენ ორივეს...

— გადარჩი ჰო! შენი ორი კაპიკით ქუთიისი ხვარ გინდა წამევილო? წონითაა ტარანი. რასაც ოუსტობა შენი ფული, ქე ვიყიდი და რაც არა, მე კი ვერ დაეშაბავ ფულს! — უთხრა ცოლს და ივანე გზას გაუღდა ქუთაისისაკენ.

დაბრუნდა ივანე. ნავაჭრი ხურჯუნი გახსნეს პირველად ცოლს ხელში კარანდაშები მოხვდა.

— ეგ რაია კაცო? ამდენი ყარანდაშები რა წელკავთ გინდოდა? თუ პოვეტობა დეიწყე ამ სიბერის დროს სერაფის ბეჭივით?..

არა, ე ვერჩატკები რალათ გინდოდა, კაცო? რა დავაბარე მე შენ: კვირისტავი შეიტანეთქვა. ქოთანნი შეიტანე! შენი ქოქი მვისპო, ზარელამ!

— რე ამბავია რო ქაქანობ შე სახეკარ ამოსაგდებო! რო იხახე: ქუთაისს წადიო. ეგია? შენი საპერანგე ნარმა ვიყიდე და დააყარენ „დავესკები“ კრუჯევი, კარანდაში, ფერჩატკები, (ნუ გეშინია ქე გამოგადგება პამანდორის საკრეფში); აქით ჩითს დაადვენ კილო და ქი ამიფსო ხურჯინი... ხო, მართლა პუდრი მოგიტანე კილო.


— მერე, შენ დაავეტი შენ პატრონს, ვერ უთხარი არ მინდა ამდენი „დავესკები“ თქვა?! არა პუდრი რამ წამოვადებია, კილო ზარიშნა გგონივარ თუ? ვიფიქრე: ქუთაისში ეფათ იყიდის თქვა და არ დოულუბავარ ქალი?! წეილე ახლა ე შენი პუდრა — მუდრები და შეაყარე შენ ყველანს.

ბახჩო,

სევერიან ვეკილი

ქუთაისი

საქართველო
საბჭოთაო



როცა დანა-ჩანგალი
მან ჯიბეში ჩაიწყო,—
ხელის ხოცვა ქაღალდზე
წყნარად, დინჯად დაიწყო.

თავს წაადგა მას გამგე,
იასონი კოსტანა.
უთხრა: „სევე, ჩანგალი
შენს ჯიბეში ვერ ჩავა“.
(შობლინსკი ბოზბ)

ტარტაროზო, ცნობას გაწვდი,
ცნობას ბრაზით ავისილს:
რომ გამსახლში სამსახური
„ხელთ უგდია“ ვასილს.
ხმა არა აქვს, გავაშავეთ...
ავურხანას ფლობდა:
ფულს იგებდა, ერთი სიტყვით:
თავს კეთილად გრძნობდა...
— ხმა წავერთვით, წავეხდინეთ:
გული დაეღარა.
ავურხანას „ნალოგები“
თავზე დაეყარა.
— მაგრამ ხერხი მოიგონა,
ცხვრის ტყავს მოეფარა.
ავურხანა მან ცოლის ძმას
ჩუმად ჩააბარა.
თითონ დარჩა „გაწმენდილი“
ცოდვებისგან (ვითომ),
და თბილ ადგილს დაეძებდა:
„ძმა-კაცებში“ თვითონ.
„ძმა-კაცებმა“ შეიწყალეს:
ადგილი უშოვეს...
(შრომის ბირჟა ათასობით
ითვლის უმუშევრებს).
ასათიანი ვასილი
გამსახლში მოეწყო;
ტარტაროზო, გეხვეწები:
მას ჩანგალი მოსცნო.

შანცი.

„განდევილიადა“-- „მონასტერი“

სადაც „დიდებულს“ ანაგის ფოსტანს
მოსახლეობა ვერ შესწვდენია:
სადც ფოსტის გამგე, მიხეილ „ძველი“
ფეხებით ფოსტის ჭერს მიბჯენია;
სადაც არ ისმის ხევის შხუილი,
„ზარიული“ კენესა-წუხილი;
სად ხმა არ არის ადამიანის
და სტიქიონის ჭეჭა-ჭუხილი,—
იქ ატყორცნილა ფოსტის კანტორა,
მოსახლეობით დამწყურალებული,
მიშას იქ სძინავს, ან არ სცალია,
საქმეც რომ გქონდეს აჩქარებული.
ტელეფონს ურეკ, არ გაგაგონებს;
თუ კი ხმა გაგცა, თან „შეგიკურობებს“,
და თუ უთხარი: „რად შვრები ასე“,—
გამოგილანძღავს ზნეობის კუთხეს.

მისი საათი თუმცა მოშლილა,
მაგრამ უჯერის თავისებურად;
დილით არა სჩანს, საღამოს ჰქრება,
ბიუროკრატობს მამისებურად.
კვირა მის უყვარს, რადგან ბაზრობას
ის ჩამოუფლის კახურ სასმისებს;
მითერება „ძმურად“ და მიიძინებს,
რადგან ცენტრსა სცნობს, თემს კი ასხვისებს.
მიშაო ჩვენო, განყენებულა,
როს გედირება შენ ვაღვიძება,
რომ დაინახო სოფლის წუხილი,
რომ დაეხმარო, არ შეიძლება?...
არ იზამ ამას- მაშინ მოვითხოვთ
„ტარტაროზისას“ მძლავრ-ჩქარ-ლაშქრობას:
იქნება გვიან, შენ ხომ გრძნობ ამას,
ბედს დაიწყველი, გფიცავარ ძმობას.

შენი ძმა: „აბუთა“

სადგურის ბელეფონი

ვერა რიბუბა შემოგარდა ოთახში
და მიუაღერსა თავისს „განშორე-
ბულ“ ქმარს სიმღერით:

დივლი დალალი დალაღე
დივლი დალაღეო
ფუფუნებით დრო ვატაროთ
შენ გენეცვალო.

— რა იყო, ქალო რა მოგივიდა ასე
გეთივით, რომ შემოგარდი? გუშინწინ
სამსახურიდან მოგხსნეს და ეხლა ფუ-
ფუნებაში ვატარებთ დროს?

— რაიო? დამითხოვეს! ვინ ვაბე-
დავდა ჩემს დათხოვნას, აბა მითხარი?
ვანა, არ იციან, რომ ჩემს ჯამაგირს
ჯაბუას საკანდიტეროს დახლში აქვს
ბინა?

— მაშ მოვიღეს ისეგ ჩემო ვერიკო
სამსახურში?

ვერა ისეგ მღერის.

— სსსს! ვერიჩკა, ჩუმათ იყავი, ხოლ
რემ ჩვენ ვითომ ცოლ-ქმარი არ ვართ
და ცალ-ცალკე ვცხოვრობთ, გაიგე-
ბენ და სიმღერა ხანმოკლე იქნება;
დაიწყებენ მითქმა-მოთქმას: უფრო
გაჭირვებულებს ითხოვენ სამსახური-
დან და არ ამცირებენ, ისეთებს, როგ
მღებიც შესამცირებელი არიან. მე
შენ გეტყვი და, მე და შენ კარგი
მუშაობა ვიცოდეთ! ლაყბობის მეტს
არაფერს ვაკეთებთ სამსახურში...
ჰო და ფრთხილად ცოტა; პროტექტო-
რებსაც ნუ ჩავაყენებთ უხერხულ
მღვამირობაში, თორემ შემიღებ ვერ
გაბედდვენ ჩვენს დაცვას.

„ბაგებს“

ცნობილი პირობები



სახარის: სალხინო (სენაკის მაზ.).
 თქვენი კორესპონდენციიდან ძნელი
 გამოსარკვევი შეიქნა, თუ სახელ-
 დობრ, ვის ერგება სახრე: აღმასკომს
 იმისათვის, რომ მან, როგორც თქვენ
 ჩვენობით, „გრეხილი ავეჯეულობა“
 გაუხსნა თემს; აღმასკომის თავმჯდო-
 მარს იმისათვის, რომ მან ეს საქმე
 აღუდგინებინა ჩარჩებს ჩაუგდო ხელ-
 ში, ადგილკომს იმისათვის, რომ ის
 გურადღებდა არ აქცევს მუშებისათ-
 ვის დროზე ჯამაგირის დარიგებას თუ
 მშრომელთა სხვა ინტერესებს, შრო-
 მის ინსპექტორს, რომელიც ვერ იცავს
 მუშების შრომის პირობებს, თქვენ
 რმისათვის, რომ ყოველივე ეს სათანა-
 დო დაზნეულობით ავეწერეთ ყოვე-
 ლად უვარგის ლექსად და არა პრო-
 ზად, თუ ბოლოს ჩვენ იმისათვის,
 რომ თქვენი გრძელი ლექსიდან აქვე
 ვათავსებთ ერთად ერთ ტაქს და
 იმასაც სანიმუშოდ:

ვამგვთ არის იქი დათა,
 ვანო, ანდრო, პარმენი და ვალიკო,
 ასეთ მდგომარეობაში
 სჯობს ქარხანა სულ არ იყოს.
 თქვენი ლექსის არ იყვეს, რაც მა-
 რთალია, მართალია: სჯობს, რომ
 ესულაც არ იყოს!..

კომსომოლს: გომი (ქუთ. მაზ.)
 რომ მისამართის შეცვლა აუცილებელ-
 ლ არ ყოფილიყო, ზევით დაწვებულ
 ჩვენს შენიშვნას პირდაპირ განვარ-
 მობდით და ისე გადმოვიდო-
 რით თქვე: ზე არა ნაკლები „და-
 ზნეულობით“, ვიდრე „სახრე“, ავეი-
 წკით თქვენც გომის ღღევანდელ ვი-
 ვარებებს. მაგრამ გეკითხებით: თუ
 ფერწალი ბენია მილორავა ავად-
 მყოფ გლეხთან ისე არ წავა, რომ
 წინასწარ ტყავი არ განადრის მათ;
 თუ საქმიან ბუნქტის თანამშრომელი
 დავითი მუდამ ნარდ-კარტს თამაშობს
 რუბენ კობრავეს ლექსში, თუ სო-
 ფელი მიკიტენბმა აიკლეს: ქალებს
 გზაში არ უშეებენ და სხ., თუ მასწა-
 ვლებლებიც ყველა ისე წყალ-წალე-
 ბული ყოფილან გომში, როგორც,
 თქვენ იწერებთ: ზოგი საზოგადო
 ფულს სჭამს, ზოგი სხვის საათს ით-
 ვისებს და სხ. — მაშ, ვინლა დარჩა
 მანდ კაცური კაცი? მართო თქვენ?!
 სიტყვა „კომსომოლა“ კაი ფარია, მა-
 გრამ ასეთი დიდი როლისთვის მაინც
 საქმარ არ არის.

დ. სამიძის. თქვენი „ვირი და ბი-
 ტან“ იგავით არ ვარუა. მაშასადამე,
 ისევ იმათ უნდა ვინმართო, რაც არის.
 აქიდან გამომდინარე ასე ვანაწილებთ
 მას. დღე, ვირად თქვენთვის დარჩეს
 ის, ხოლო ჩვენ ჯერ-ჯერობით არც
 ცდ გვეპიტნავება ასეთი რამ..

ნიასურს: ამალღება (გურია), თუ
 პარტიულმა ხალხმა: მინამ, მალღამ
 და დომენტიმ ამალღება დღეს და-
 ლიეს და ეკლის ჩირგვის ძირში გა-
 ნისვენეს, ეს არაფერი საძრახისი სა-
 ქმეა იმდენი. სოფელი ამალღება ყო-
 ფილა და ამალღების დღესასწაულს
 აქ კიდევ შეფერის სათანადო პატი-
 ვისცემით შეხვედრა. მართალია, პარ-
 ტიულ წესდებაში ამის შესახებ და-
 ლებითად არაფერი სწერია, მაგრამ
 უარყოფითად კი, რამდენიც გნებავთ,
 მიუხედავად ამისა დომენტის შე-
 სახებ თქვენს გამოთქმას ჩვენ მაინც
 ვერ შეგვშვით ისე ადვილად და აქვე
 ვათავსებთ:

ღვინის სმაში ხომ პირველობს,
 ვინებაშიც ქებულია,
 ყველას ლანძღავს და ავინებს,
 მეტად თავ-აშვებულია.

მასხარას: (ძირულა) ო, როგორ
 გინდებათ ეს ფსევდონიმი, თქვენებუ-
 რად რომ ესთქვათ — სევდონიმი.
 სევდის აღმძვრელიც არის ის და თან
 სასაცილ - სამხიარულიც. მეორე
 თქვენი „სევდონიმი“ — ნამდვილიც
 კარგია: დასაწერად ადვილია, ხოლო
 ადგილს გააჩნია: სად შეიძლება მისი
 (ე. ი., დაწერილის) სინამდვილედ გა-
 საღება და სად არა. ჩვენთან, მაგალი-
 თად, ვერ გაასაღებთ.

„ჰამისას“ (ქუთაისი) ფალიანმა
 თუ სარეწაო კოოპერაცია დააქცია,
 წესია და მართებული: ფალია საპი-
 რისწამლეა, ის ავეთქდება, აანთებს
 თოფის წამალს თოფში და ისერის.
 თან ნასროლი კი ყველავეს
 არღვევს და ანგრევს. ეს ბუნებრივია.
 მხოლოდ არა ბუნებრივია ის, რომ
 ვალტიურად კოოპერაცია ვივითიშ-
 ვილს დაუქცევია და არა ფალიანს.
 მუშეცვალეთ თქვენს ლექსს სათაური,
 შეაქცვალეთ მისი ფორმა, შინაარსი
 და ვინ იცის, შემდეგ იმდენად ივა-
 რგოს, რომ „ცნობათა მიღებაში“ მო-
 გკვთ მაინც უფრო შესაფერი რჩევა-
 დარიგება.

მაცნის „რიონისი“. ვეებერთელა
 ლექსად გვეწერთ რიონისში დამკვი-
 დრებულ პროტექციის შესახებ. ჩა-
 ვიკითხეთ ბოლომდე, მაგრამ პროტე-
 კციის შესახებ იქ არაფერი სწერია.
 „მოდი, ნახე სამმართველო... იქვე ნა-
 ხე სამანქანო... ქალებს უზის გვერ-
 დით ვფვი... ერისთავი ჩვენი, მავრა
 განთქმულია ამ საქმეში... დადიანი
 იზეპირებს: „წამო, წამო, წამო ტყე-
 ში;“ ერთი სიტყვით, ამისთანა სი-
 სულღვე, არ გუნახავს თავის დღეში.

ილ. დავ. გულიშვილს. (ხოა
 ნი) კორესპონდენტის ვინაობის გამო-
 მუდგენება არ შეიძლება. თქვენ იწე-
 რებით, რომ ხართ ყოველად პატიო-
 სანი, მშვიდობიანი და კეთილი კაცი.
 ამის საწინააღმდეგო ჩვენ რა გვექნე-
 ამის საწინააღმდეგო ჩვენ რა გვეთ-
 ქმის. მხოლოდ კორესპონდენტის
 მიერ აღნიშნული ფაქტის წინააღ-
 დევ თქვენ რას იტყვით? აი საქმე რაა
 შია!.. ჯერ-ჯერობით კი თქვენგან
 არსებითად არაფერი მოგვისმენია...

ილუშალს. (ლანჩხუთი), რაოაც
 დიდი იდუმლობით უნდა იყოს სო-
 ცული თქვენი თუმორისტული მტო-
 ტია: „საუბარი მატარებელში“, თო-
 რემ რატომ გაგვიძნელდა ჩვენ იქი-
 დან რაიმე აზრის გამოტანა?!. დავი-
 ჯეროთ, რომ მატარებლის თვლების
 ნმაურმა შეგვიშალა ამდენად ხელი?!

მუშკორ-გამვლელს. (ფოთი)
 შეიძლება თქვენი სატყეო ტრესტის
 გამგე ეგნატე მართლაც ხელ-მომთ-
 ბარი კაცი იყვეს: სახლიც გაემენე-
 ბიოს და ბურის ფქვილიც ცალკობით
 ეწყოს. ყოველივე ეს შეიძლება, მაგ-
 რამ გლეხ ვანოს თუ ფარულად მო-
 ჭირილი ხის მასალა წაართვა და და-
 ჯარიმებაც დაუპირა, ამაში ის ცაშ-
 დის მართალია.

გრიგოლ იაკობაშვილს. ნათ-
 ნტერესთა ვიცოდეთ სად არის ეს ამა-
 ბავი, რომ უბილეთონი მატარებლე-
 ში თავს ისე არხეინად გრძობდენ,
 და გამომწვევი ტონითაც დიდინებ-
 დენ, როგორც ეს თქვენა გაქვთ აწე-
 რილი თქვენს ლექსში: „უბილუ-
 თონი“?!

იურიის. თქვენი ამბები გამოჩინე-
 ბული თემის ცხოვრებიდან ვერ არის
 მაინც და მაინც გამოჩინებული და სა-
 ვარგისი: ვერც ფორმით, ვერც შინაარ-
 სით და რაც მთავარია, ვერც იდეო-
 ლოგიით. მიუხედავად ყოველივე
 ამისა, ერთი ადგილი მაინც მოგვეწო-
 ნა, და აქვე ვათავსებთ.


სასოფლო ბანკმა სიმინდი
 გამოუწერა ღარიბებს,
 მაგრამ ეს რაღა საქმეა,
 როცა „გრამობით“ არიგებს?!

თუმცა ამ ადგილსაც თავისი შენიშ-
 ვნა აქვს: „გრამობით“ იმაზე მეტიც
 შეიძლება დარიგდეს, რისი დარიგე-
 ბაც ფუთობითაც არის მოსახერხებე-
 ლი. ცული ის იქნებოდა, რომ ბანკს
 კულაკებზე დაეროგებია ეს სიმინდის
 „გრამები“.

ქუთაისის აღმშენებელთა კავშირში



ეროვნული
გეოგრაფიული



J. Nadar

მიშა (უწყებელი) მიმართეთ იქ აკაკის!

აკაკი: - მიმართეთ იქ ცინცაძეს

ცინცაძე: - მიმართეთ იქ საერთო კანცელარიას.

საქმ. მწარე: - მიმართეთ იქ რეგისტრატორს.

უმუშევარი (მოთმინებიდან გამოსული): - ყველას სჯობია მუშათა და გლეხთა ინსპექციას მივმართო!

(ხლისტი).